საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანგარიში

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ

2018 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებებისა და მათზე რეაგირების, ასევე, დაცული პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ 2018 წლის ანგარიშს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 2017 წლის 10 დეკემბრიდან 2018 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 122 განცხადება, რომელთაგან ელექტრონული ფორმით შემოსული განცხადებების რაოდენობამ შეადგინა 12 ერთეული. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის შესახებ მოთხოვნების იუსტიციის სამინისტროში ელექტრონული ფორმით წარმოდგენა უზრუნველყოფილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ – მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (MY.GOV.GE) მეშვეობით.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობას, 2018 წლის განმავლობაში მსგავსი მოთხოვნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში არ შემოსულა.

ბ) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შემოსული განცხადებებიდან

- 25 შემთხვევაში მათში მითითებული საკითხები მიეკუთვნებოდა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების სფეროს და, შესაბამისად, განცხადებები გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს;
- იმ განცხადებებიდან, რომლებიც განეკუთვნებოდა იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციას (97), საჯარო ინფორმაცია
- გაიცა და, შესაბამისად, მოთხოვნა დაკმაყოფილდა 49 შემთხვევაში;
- 45 განცხადებაზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება;
- 3 შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროში შემოსული თითქმის ყველა განცხადება შეიცავდა საჯარო ინფორმაციის ერთზე მეტ, ხშირ შემთხვევაში კი – მრავალ მოთხოვნას.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით იუსტიციის სამინისტროში შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობიდან 38 შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო მოქალაქე, 54 შემთხვევაში – არასამთავრობო ორგანიზაცია, 19 შემთხვევაში განმცხადებელს მითითებული ჰქონდა, რომ წარმოადგენდა სხვადასხვა მედიასაშუალებას, 8 მოთხოვნა შემოვიდა სხვა საჯარო დაწესებულებიდან, 2 – პოლიტიკური პარტიიდან, 1 მოთხოვნა გამოიგზავნა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული პირის მიერ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენდა ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი) თამთა ფეტვიაშვილი. შესაბამისად, გადაწყვეტილებები მოთხოვნის დაკმაყოფილებისა თუ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ იქნა მითითებული პასუხისმგებელი პირის მიერ, გარდა 4 მოთხოვნისა, რომლებიც განიხილეს და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) უფროსმა ნათია ჩირიკაშვილმა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსმა ბექა ძამაშვილმა.

გ) სამინისტროს ცენტრალური აპარატის ცალკეული სტრუქტურული ერთეული მათთვის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებდა პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას. სამინისტროში პერსონალური მონაცემები დაცულია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (დეს) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებლები უთითებენ მათ მიერ წარმოდგენილ განცხადებებში. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები.

ე) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სამინისტრო ეყრდნობოდა „საქართველოს კონსტიტუციასა“ და „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“, ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილების მოთხოვნებს.

საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:

- განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დაცული არ იყო (2 შემთხვევა);
- განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემს (1 შემთხვევა).

ვ) იუსტიციის სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით 2018 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა:

- 1 ადმინისტრაციული საჩივრის წარმოდგენას, რომელზეც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის/ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობის სასამართლო წესით გასაჩივრების 1 შემთხვევას. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მიმდინარეობს სამართალწარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

აქვე წარმოგიდგენთ ინფორმაციას 2017 წლის ანგარიშში ასახულ იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებულების შესახებ, კანონით დადგენილი წესით, აღსრულებულ იქნა 2018 წელს. ზემოხსენებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დაცული ინფორმაცია გაიცა და განხორციელდა მითითებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის აღსრულების მიზნით ხსენებული პუნქტით დადგენილი თანხის (სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარი) ჩარიცხვა მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ.

ზ) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან მიმართებით სამინისტროს მიერ ინფორმაციის გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია სამინისტროსათვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.

თეა წულუკიანი

საქართველოს იუსტიციის მინისტრი